

თვალის დაავადებების პრევალენტობა საქართველოში (2012-2016)

აკაკი კაპანაძე¹, ვასილ ტყემელაშვილი²

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

¹მაგისტრანტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკა;

²ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მხედველობის გაუარესება წარმოადგენს ნაციონალურ და გლობალურ ჯანმრთელობის პრობლემას, რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს ადამიანზე როგორც ხანმოკლე ასევე ხანგრძლივ პერსპექტივაში და გულისხმობს დაკარგული განათლების თუ დასაქმების შესაძლებლობას, ეკონომიურ დანაკარგს პიროვნებისთვის, ოჯახისთვის და საზოგადოებისთვის და ცხოვრების ხარისხის შემცირებას მილიონობით ადამიანისთვის. კვლევის მიზანი იყო მხედველობის გაუარესების (დაბალი მხედველობა და სიბრმავე) პრევალენტობის და მიზეზების განსაზღვრა ამბულატორიულ პაციენტებში კლინიკა „კურაციოს“ მაგალითზე და თვალის დაავადებების მნიშვნელობის განსაზღვრა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კუთხით საქართველოს მაგალითზე. კვლევის პერიოდში მოძიებულ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან, სს კლინიკა „კურაციო“-დან, შპს „ახალი მზერა“-დან, დღენაკულულთა რეტინოპათიის სამუშაო ჯგუფიდან და მოხდა რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვა. მიმდინარეობდა რეტროსპექტული კვლევა რეფრაქციული მანკების პრევალენტობაზე ამბულატორიული მიმართვის დროს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 6-დან 80 წელზე ზემოთ 600-მა პაციენტმა. კვლევისთვის მხედველობის გაუარესების (დაბალი მხედველობა და სიბრმავე) პრევალენტობის და მიზეზების განსაზღვრისთვის ამბულატორიულ პაციენტებში გამოყენებულ იქნა აღწერილობითი, რეტროსპექტული კვლევა, რომლისთვის შერჩეული იქნა 400 ამბულატორიული პაციენტის (ასაკი 6 წელი და ზემოთ) ბარათი, რომლებიც მკურნალობას გადიოდნენ კლინიკა „კურაციოში“ 2016 წელს. მოხდა მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით. ასევე განხორციელდა თვალის 10 დაავადებისთვის წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (ASR) განსაზღვრა. მხედველობის გაუარესების (დაბალი მხედველობა და სიბრმავე) პრევალენტობის და მიზეზების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულ კვლევაში მონაწილეთა ასაკი მერყებდა 6-დან 92-წლამდე (საშუალო 39.5 ± 23.5), საიდანაც 161 პირი (40.3%) იყო მამრობითი სქესის და 239 (59.8%) - მდედრობითი. მნიშველოვანი მხედველობის დაქვეითება (მხედველობის სიმახვილე < 6/18 და მოიცავდა როგორც დაბალ მხედველობას და სიბრმავეს), დაბალი მხედველობის და სიბრმავეს პრევალენტობა მარჯვენა თვალისთვის იყო შესაბამისად 34.8%, 16.3% და 18.5% - მნიშველოვანი ასოციაციით ასაკის (Chi = 71.6, p = 0.00), სქესის (Chi = 8.9, p = 0.003) და მარჯვენა თვალში მხედველობის გაუარესებას შორის. მარცხენა თვალისთვის მნიშველოვანი მხედველობის გაუარესების, დაბალი მხედველობის და სიბრმავეს პრევალენტობა დაფიქსირდა შესაბამისად 35.8%, 17.5% და 18.3% - მნიშველოვანი ასოციაციით ასაკსა (Chi = 52.9, p = 0.00) და მარცხენა თვალში მხედველობის გაუარესებას შორის, თუმცა ეს კავშირი არ დაფიქსირდა სქესთან მიმართებაში (Chi = 1.9, p = 0.163). ორივე თვალში მნიშველოვანი მხედველობის დაქვეითების, დაბალი მხედველობის და სიბრმავეს პრევალენტობა იყო 16.8%, 3.8% და 9.5%, შესაბამისად მნიშველოვანი ასოციაციით ასაკის (Chi = 54.1, p = 0.00), სქესის (Chi = 4.7, p = 0.03) და ორივე თვალში მხედველობის გაუარესებას შორის. მნიშველოვანი მხედველობის გაუარესების მიზეზი იყო არაკორეგირებული რეფრაქციული მანკები (38%), კატარაქტა (20.9%) და გლაუკომა (17.6%). დაბალი მხედველობის მიზეზი იყო არაკორეგირებული რეფრაქციული მანკები (56.7%), კატარაქტა (20.9%) და გლაუკომა (9.0%). სიბრმავეს მთავარი მიზეზი შემდეგნაირად გადანაწილდა - კატარაქტა (34.1%), გლაუკომა (31.7%) და ბადურის დაავადებები (17.1%). კვლევის შედეგების მიხედვით დაბალი მხედველობის და სიბრმავეს პრევალენტობა პაციენტებში, რომლებიც გადიოდნენ ამბულატორიულ მკურნალობას 2016 წელს კლინიკა „კურაციოში“ იყო 16.8% და სიბრმავეს - 10.3%. მხედველობის დაქვეითების მთავარი მიზეზი იყო არაკორეგირებული რეფრაქციული მანკები, გლაუკომა და კატარაქტა. ფოკუსი რეფრაქციული მანკების ოპტიკურ კორექციზე და კატარაქტის და გლაუკომის დროულ მკურნალობაზე მნიშველოვნად შეამცირებს ზემოთ აღნიშნულ დაავადებათა ტვირთს. სწორი მართვით შესაძლებელია თავიდან აცილებულ იქნას ამ დაავადებებთან დაკავშირებული მხედველობის გაუარესება და სიბრმავე. თვალის დაავადებების მნიშველობის განსაზღვრის ანალიზის დროს ვერ მოხერხდა საქართველოში ბრმა და დაბალი მხედველობის პირთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა. მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებით 2012 - 2014 წლებში აღენიშნებოდა პოტენციურად მხედველობის დამაქვეითებელი და დამაბრმავებელი დაავადებათა (კატარაქტა, გლაუკომა და აკომოდაციის და რეფრაქციის დარღვევები) მატება (2014 წლის მონაცემებით 94,100 ახალი შემთხვევა), რასაც მოჰყვა შემცირება (57,100 ახალი შემთხვევა 2016 წელს - ძირითადი კლება მოხდა აკომოდაციის და რეფრაქციის დარღვევების ხარჯზე). ასევე განსაზღვრული იქნა ძირითად დაავადებებზე პირდაპირი ოფთალმოლოგიური ხარჯი (მინიმალური 650 ლარიდან კატარაქტის შემთხვევაში და მაქსიმალურ 8,900 ლარამდე). მოსახლეობის მხედველობის დაქვეითების და დაკარგვის აქტუალურობის განსაზღვრისთვის ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მხედველობის ფუნქციის დარღვევა უმნიშველოვანეს სამ ჯანმრთელობის პრობლემაში აღიქმებოდა.

საკვანძო სიტყვები: თვალის დაავადებები, პრევალენტობა, საქართველო